საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს **ბატონ ნიკოლოზ**
სამხარაძეს (ცნობისათვის)

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„საკონსულო საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული საკითხების მოწესრიგების თაობაზე;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და პარლამენტის **წერილი.**

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-14742/22
11 11 2022 წ. ფურცელი 6

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული საკითხების მოწესრიგების თაობაზე

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2012 წლის 12 ივნისს მიღებული „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 4-6 პუნქტების თანახმად:
  - ✓ მინისტრმა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ერთობლივი ბრძანების გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.
  - ✓ მინისტრმა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ერთობლივი ბრძანების გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.
  - ✓ მინისტრმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ერთობლივი ბრძანების გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ზემოხსენებული ნორმის მიღებიდან გასულია 10 წელზე მეტი პერიოდი, კანონის 24-ე[1] და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები, ისევე როგორც ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (საკონსულო ფუნქციების შესრულების ზოგადი წესი) და მე-3 პუნქტი (სანოტარო მოქმედებების შესრულების ზოგადი წესი), ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით დღემდე არ არის მიღებული. შესაბამისად, ღიად დარჩა საკონსულო თანამდებობის პირის ფუნქციები საქართველოს შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით[2].

---

1 საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას. საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფუნქციის შესრულების წესი განისაზღვრება მინისტრისა და ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4–მე-6 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი მინისტრების ერთობლივი ბრძანებებით.

2 ყურადსაღებია ასევე საქართველოს ორმხრივი საკონსულო კონვენციებიც. მაგ.: იტალიასთან 51-57 მუხლები; რუმინეთთან 31-35 მუხლები; ყაზახეთთან 44-48 მუხლები; უკრაინასთან 17-20 მუხლები; ლიტვასთან 18-21 მუხლები.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების მიუღებლობა.

საგულისხმოა, რომ „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე მოქმედებდა „საკონსულო დაწესებულებათა შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის VII და VII თავებით განისაზღვრებოდა კონსულის ფუნქციები საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდებისა და სარკინიგზო საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ. ხოლო XVI, XVII და XVIII თავებით კი კონსულის ფუნქციები კონსულის ფუნქციები გემის მოსვლის, დგომის და გასვლის დროს, ასევე, გემის დაღუპვის და ავარიის შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ 1 ათწლეულის განმავლობაში ვერ მოხერხდა შესაბამისი უწყებების ჩართულობის უზრუნველყოფა შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, ასევე, საქართველოს მზარდი სატრანზიტო ფუნქციის გათვალისწინებითაც, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში საკონსულო დაწესებულებების შესახებ საქართველოს ძალადაკარგული კანონიდან დუბლირებული ყოფილიყო ის ძირითადი დებულებები, რომელიც შესაბამის სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურების სფეროს და ფარგლებს განსაზღვრავდა (აღნიშნული გარემოება სავარაუდოდ შემდგომში განაპირობებს ხსენებული ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო სახელმძღვანელო ინსტრუქციებიის ერთობლივი ბრძანებით მიღების დაჩქარებას). ასე მაგალითად 24-ე მუხლს მეორე პუნქტის შემდგომ დამატებოდა შემდეგი სახის პუნქტები:

> პუნქტი 3: „საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურების მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი ასევე უფლებამოსილია:
>
> > ა) ხელი შეუწყოს გემის ნავსადგურში შესვლას, იქ ყოფნას და გასვლას. გამოარკვიოს იმ შემთხვევათა გარემოებანი, რომლებიც მოხდა გემზე, გამოკითხოს გემის კაპიტანი და ეკიპაჟის წევრები".
> >
> > ბ) გასცეს საქართველოს სახელმწიფო დროშით ცურვის უფლების დროებითი მოწმობა[3];
> >
> > გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში, გასცეს ხომალდის მოსვლისა და გასვლის დროებისა და საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში/ საკონსულო დაწესებულებაში გემის კაპინტის გამოცხადების დღის შესახებ მოწმობები/ ცნობები, გემის დანიშნულების ნავსადგურის თაობაზე მოწმობები/ ცნობები".

---

3 საქართველოს საზღვაო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მთავარ რეგისტრატორს გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილების დელეგირე ბა შეუძლია ასევე მოახდინოს საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირზე.

პუნქტი 4: „საქართველოს საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების[4] საკონსულო მომსახურების მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი ასევე უფლებამოსილია:

ა) ხელი შეუწყოს საჰაერო ხომალდის აეროპორტში დაჯდომას მის იქ ყოფნასა და გაფრენას;

ბ) შეისწავლოს შემთხვევები, რომლებიც მოხდა საჰაერო ხომალდზე;

გ) მიიღოს საჭირო ზომები ავარიაში მოყოლილი ან იძულებით დამჯდარი საჰაერო ხომალდის, ტვირთისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დასაცავად, რომლებიც ადასტურებენ შემთხვევის ხასიათს".

პუნქტი 5: „საკონსულო თანამდებობის პირი ასევე უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში, საქართველოს შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართ მიიღოს, დაამოწმოს და შეადგენოს დეკლარაციები ან სხვა დოკუმენტები".

- **კანონის პროექტის მიზანი**: კანონის პროექტის მიზანია ოკუპირებული ტერიტორიებზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა არაკანონიერი მიმოსვილის შემცირების ხელშეწყობა.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტის თანახმად, კანონის მე-24 მუხლს დაემატება მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებისათვის საკონსულო მომსახურების და დახმარების გაწევასთან.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]

მცხ.: [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]



10/11/2022

[4] სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია
იხ. ბმული: https://gcaa.ge/civil-aircraft-state-registration/

საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

4198/4-2/22 2 11052022

4198/4-2/22
11-05-2022

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს,

ბატონ ილია დარჩიაშვილს

ასლი: საქართველოს მოქალაქეს,

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted]

მის: [redacted]

ელფოსტა: [redacted]

ბატონო ილია,

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილოთ საქართველოს მოქალაქის, ნიკოლოზ ნიკოლაძის 2022 წლის 28 აპრილის N 1-5130/22 განცხადება.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

4197/4-2/22 2 11052022

4197/4-2/22
11-05-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,

ბატონ რატი ბრეგაძეს

ასლი: საქართველოს მოქალაქეს,

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted],

მის: [redacted]

ელფოსტა: [redacted]

ბატონო რატი,

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილოთ საქართველოს მოქალაქის, ნიკოლოზ ნიკოლაძის 2022 წლის 28 აპრილის N 1-5130/22 განცხადება.

დანართი: „2" გვერდი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს

საქართველოს პარლამენტის ქვემოაღნიშნულ კომიტეტების თავმჯდომარეებს

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
- ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი (ცნობისთვის)
- დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი (ცნობისთვის)

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/N [redacted] მცხ.: [redacted]

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 12 ივნისს მიღებული „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად 2013 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოფილიყო[1]:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ასევე განისაზღვრებოდა საკონსულო ფუნქციების შესრულების ზოგადი წესი[2];
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრთან ერთად ერთობლივი ბრძანების გამოცემა, რომლითაც განისაზღვრებოდა საკონსულო თანამდებობის პირის მიერ სანოტარო მოქმედებების შესრულების წესი;
3. საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებთან საჭიროების შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის დარგობრივ (შსს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავდაცვის

---

[1] https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/33795 განმარტებითი ბარათის შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მიღებიდან 2013 1 იანვრამდე საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებებისა და იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებთან ერთად ერთობლივი ბრძანებების გამოცემის ვალდებულებას ამ კანონპროექტით რეგულირებული საკითხების დეტალური მოწესრიგებისათვის

[2] 2009 წლის 8 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრის 255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად და ფუნქციად განისაზღვრა - საკონსულო სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, **საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, მომზადებაში მონაწილეობა და წინადადებების შემუშავება.** ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტის დირექტორი წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

1-5130/22
28 04 22 2

სამინისტრო) მინისტრებთან ერთობლივი ბრძანებების (თითოეულთან ცალ-ცალკე) გამოცემა.

- საკანონმდებლო აქტის თემატიკის გათვალისწინებით, სავარაუდოა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კოორდინაციის განხორციელების როლიც;
- ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები, მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებიდან გასულია ფაქტიურად 10 წელიწადი, ატები არ გამოცემულა. შესაბამისად, სავარაუდოა კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების დეტალური მოუწესრიგებლობა, მათ შორის საკონსულო ფუნქციების შესრულების ზოგადი წესის ფარგლებში[3];
- იმ შემთხვევაში თუ ხსენებულმა საკითხმა აქტუალობა დაკარგა, მიზანშეწონილი იქნებოდა სამართლებრივი აქტიდან შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების ამოღება[4].

გთხოვთ, მიშუამდგომლოთ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებით უკანასკნელად განხორციელებული ქმედებების/ მისი სახის, აქტივობის პერიოდისა და საკითხის შესაბამისად დასრულებასთნ დაკავშირებით ხელის შემშლელი გარემოების თაობაზე ინფორმაციის მოწოდების შესახებ *(უშუალო მიმართვის გზით - საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნის სახით დასმული საკითხების მიღება საგარეო პოლიტიკური უწყებიდან, როგორც წესი ვერ ხერხდება ან/და არაშესატყვისია).* იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ბრალეულობით განხორციელდა ხსენებული პროცესის ჩავარდნა, სასურველია ასევე მომეწოდოს მოცემულთან მიმართებით ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ განხორციელებული წარმოების შედეგად მიღებული შეფასებები (ინფორმაცია).

28/04/2022

---

[3] სათუოა საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებისთვის ჯეროვანი/ კანონშესატყვისი მომსახურების და დახმარების მიღების შესაძლებლობა. მაგალითად, ჩემს ხელთ ორი წლის წინანდელი არსებული ინფორმაციით, ქ. ათენსა და ქ. სალონიკში საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებს სხვადასხვა ხასიათის აღქმა გააჩნდათ თარგმანთან დაკავშირებული მოთხოვნების/ პირობების და საფასურის განსაზღვრის შესახებ;

[4] ცნობისათვის: საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე - სამართლებრივ აქტში ცვლილება შესულია ხუთჯერ. 08/09/2013, 02/05/2014, 29/05/2014, 26/12/2018, 26/12/2018. ცვლილებები შეეხებოდა საკონსულო სერტიფიკატის გამცემი ინსტიტუტის სახელწოდების კორექტირებას, საკონსულო პროგრამით საქმისწარმოების განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრას, დელეგირებული უფლებამოსილებით განსაზღვრული ფუნქციების (პასპორტიზაცია, სამოქალაქო აქტები) კორექტირებას. საკონსულო ოლქის შემოვლის უფლებამოსილებების დაკონკრეტებას, ნასამართლობის შესახებ ცნობების გაცემის და დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის სამართლებრივი საფუძვლების მითითებას. ასევე, საქართველოში უცხო ქვეყნის საკონსულო დაწესებულებების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მითითებებს. ვფიქრობ, რომ კანონი საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული/ გადაადგილების გამოწვევებიდან გამომდინარე მოითხოვდეს მნიშვნელოვან ცვლილებებს ან/და ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების/ პრაქტიკის შესატყვისი ახალი აქტის მიღებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 7 22 00626500

03.06.2022

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

ასლი: საქართველოს მოქალაქეს, [illegible] [illegible] ([redacted]

[illegible] [redacted]

[illegible] [redacted]

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წლის 11 მაისის №41944-2/22 (რეგ. №536613, 13/05/2022) წერილის და მისზე თანდართული საქართველოს მოქალაქის, [illegible] [illegible] [illegible] წლის 28 აპრილის № 1-5130/22 [illegible].

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

ადმინისტრაციის უფროსი

[illegible]

03.06.22